

## ქართველ ერსაც გადასალახი აქვს თავისი ნილი ქართული უღაბნო



ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ღირსეულ გამარჯვებამდე რთული და ძნელი გზის გავლა შესთავაზა, ერთი აუსილავალი პირობით – ამ გზას იგი ქართველ ხალხთან ერთად გაივლიდა და ყველა იმ ბასაჭირს, ყველა იმ სიფათს გაიზიარებდა, რაც ამ გზაზე მის თანამგზავრ ქართველ ხალხს შეხვდებოდა

ეს გზა, ერთგვარი გამოცდის და სულიერი წრთობის გზაც არის და იმის მინიშნებაც, რომ არ შეიძლება გამარჯვებას ერთბაშად მიაღწე – სანამ გამარჯვებამდე მიხვალ, რაღაც გზა უნდა გაიარო, რომ ბევრი ფიქრი და თუნდაც შეცდომების დაშვება მოასწრო, რომ მერე ისწავლო ამ შეცდომებზე და გამარჯვებამდე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიხვიდე.

პასტანო ხარჩილავა. „სბ“ 2014 წ.

### ირაკლი ღარიბაშვილი: ნებისმიერი ხელისუფლების უპირველესი მიზანი საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა უნდა იყოს



ერთ დღეში ქვეყანა არსად აშენებულა, დაქცევით – დაქცეულა... გვაცადეთ შენება!..

ბატონი პრემიერისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, გაიხსნა თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი და მედიკამენტების ფასი 60-80%-ით შემცირდა. პირველ ეტაპზე რეფერენტული ფასი 1300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დაწესდა.

### სოსო მანჯავიძე: ეპროვა საქართველოს სუიციდისკენ უბიძგებს



კაცობრიობა კარიკატურის უნარში გადავიდა, რაც ნამდვილად მეორედ მოსვლის მანიშნებელია

### ელიზბარ ჯაველიძე: ამერიკამ დასკოტ კალიბრულაზე სასტიკი სააკაშვილი დემოკრატიის უჩუჩრად გამოაცხადა

### თამარ კიკნაძე: უკრაინის ხელისუფლების მოქმედებები საერთაშორისო ურთიერთობების არცერთ ნორმაში არ ჯდება

### მოზოილი „ბნელა და გულყრადი საკვირველი“

### ქურნალ „კირბის“ გადასახედიდან

სუპერაფარისტები სახელმწიფო გადაბრიალების ეგიდით ორი კურდღლის დაჭერაზე ოცნებობენ



# ქართველ ერსაც გადასალახი აქვს თავისი წილი ქართული უღაბნო

მანტანო ხარჩილაძე:

ქართული სატიკარაპა ჯერ არ შექმნილა-მეთქი, — ვწერდი ერთ-ერთ წერილში. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მთლად მართალი არ ვიყავი.

ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, თამამად შეიძლება ქართული სატიკარაპას დასაწყისად და დასაბამად ჩავთვალოთ.

— არა იარაღით, არა ძალადობით, არამედ მხოლოდ მშვიდობიანი წინააღმდეგობით თუ მივიღწევთ სასურველ შედეგს. ამგვარი ბრძოლა მაღალ სულიერებას, ზნეობრივი და მორალური ნორმების ერთგულებას, კეთილშობილებას, შემწყნარებლობას მოითხოვს ჩვენგან. ეს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ბრძოლაა საკუთარ მანკიერებასთან, ბრძოლა იმისთვის, რომ უკეთესები გავხდეთ. ინგლისელები კი არ არიან ცუდები, ჩვენ არ ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ჩვენ მოვიგებთ ამ ომს, — არწმუნებდა განდი ინდოელებს.

იგივეს ეუბნება ბიძინა ივანიშვილი ქართველებს, თუმცა ქართველებს მაინცდამაინც ნათლად არ ესმით ამ მოწოდების დედაზრი და გამარჯვების მოპოვება მამაპაპური წესით, მუშტის ერთი დარტყმით, უფრო მარტივი და იოლი პტონით.

შეუპოვრობა ჭეშმარიტებაში საკუთარი მანკიერების ძლევის გზა, არაძალადობრივი, მშვიდობიანი წინააღმდეგობა, ზნეობრივი ნორმების დაცვა, ხანგრძლივ დროს და, რაც მთავარია, შრომას, ენერჯის ხარჯვას მოითხოვს, ჩვენ კი, ქართველები, ცოტა წავიზარბაცებთ და ამიტომაც მოწინააღმდეგის ერთი დაკვრით ნოკაუტში ჩაგდება უფრო გვირჩვენია.

ბიძინა ივანიშვილი ხშირად ამბობს სიტყვას მსოფლმხედველობა, თუმცა ქართველებს, რომლებსაც დიდი ხანია, სიტყვების შინაარსი არ აინტერესებთ, არც ამჯერად მოუკლავთ თავი იმის გაგებით, რას გულისხმობს და საერთოდ, რა მსოფლმხედველობაზე ლაპარაკობს ივანიშვილი?

რა მსოფლმხედველობაა ეს და რა პრინციპებს და რა ღირებულებებს ეფუძნება იგი?

ერთი შეხედვით, ივანიშვილი თითქოს მაპათმა განდის მოძღვრების პირდაპირ კალკირებას ახდენს, თუმცა სინამდვილეში მისი მოსაზრებები ღრმად ქრისტიანული და აბსოლუტურად ქართულია.

სამწუხაროდ, ექსპერტებს და ანალიტიკოსებს ჯერჯერობით არ გაუშიფრავთ და არ გაუანალიზებიათ ის იდეოლოგია, რასაც ივანიშვილი გვთავაზობს და არც იმ ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე გაუმახვილებია ვინმეს ყურადღება, რომლითაც ივანიშვილი ამ იდეოლოგიური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებას აპირებს.

დასანანი და გულსატკენია, რომ ბიძინა ივანიშვილის პიროვნებას ასე ზერელედ, ზედაპირულად და პრიმიტიულად აფასებს ქართველი საზოგადოება — გამოჩნდა მდიდარი ადამიანი, სიკეთის ქმნისკენ მიდრეკილი მილიარდერი, რომელსაც ბიზნესი მოსწონდა და ახლა პოლიტიკოსობა მოესურვა.

არადა, ბიძინა ივანიშვილის მილიარდები საერთოდ არაფერ კავშირში არ არის იმ კონცეფციასთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ივანიშვილს, უალტერნატივოდ და ერთადერთ საშუალებად მიაჩნია გამარჯვების მისაღწევად.

ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ღირსეულ გამარჯვებამდე რთული და ძნელი გზის გავლა შესთავაზა, ერთი აუცილებელი პირობით — ამ გზას იგი ქართველ ხალხთან ერთად გაივლიდა და ყველა იმ გასაჭირს, ყველა იმ ხიფათს გაიზიარებდა, რაც ამ გზაზე მის თანამგზავრ ქართველ ხალხს შეხვდებოდა.

მას სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლო, ამ სახიფათო გზისთვის და სახლიდან გამოუსვლელად, რბილ საკარძელში ჩამჯდარს მიედო იმდენი ძალაუფლება, რამდენსაც მოისურვებდა, მაგრამ მან უარი თქვა ამ კომფორტულ ცოუნებაზე და თავისი თავის, როგორც პოლიტიკოსის, შექმნა და გამოძერწა



საკუთარი ხელით ირჩია.

ეს გზა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ერთგვარი გამოცდის და სულიერი წრთობის გზაც არის და იმის მინიშნებაც, რომ არ შეიძლება გამარჯვებას ერთბაშად მიაღწე — სანამ გამარჯვებამდე მიხვალ, რაღაც გზა უნდა გაიარო, რომ ბევრი ფიქრი და თუნდაც შეცდომების დაშვება მოასწრო, რომ მერე ისწავლო ამ შეცდომებზე და გამარჯვებამდე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიხვიდე.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, მოსულიყო პოლიტიკაში და დაეწყო ნულიდან, დაეწყო სუფთა ფურცლიდან, არის გადაწყვეტილება იმ კაცისა, რომელმაც ასევე ნულიდან დაიწყო ბიზნესი და საკუთარი შრომით, ნიჭიერებით, გამჭრიახობით, მიზანსწრაფულობით და, რაც მთავარია, წესიერებით, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

ბიძინა ივანიშვილის კრედო, მისი ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: ადამიანმა თვითონ უნდა „ააშენოს“ ტაძარივით საკუთარი

თავი, თვითონ უნდა სრულყოფს და დახვეწოს ისე, რომ ამ ტაძარმა დროს გაუძლოს და თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისთვის ორიენტირად იქცეს.

ქართველებს ერთი უცნაური თვისება გვაქვს — ყველას ჭკვიანი ჰგონია თავისი თავი, თანაც განსაკუთრებულად ჭკვიანი.

ბევრი არაფერი გვაბადია, მაგრამ, აი, ჭკუა გვაქვს თავსაყრელად და, რა თქმა უნდა, ჭკუის დარიგებაც ძალიან გვიყვარს.

ქართველები ჭკუას განსაკუთრებულად გულუხვად და ხელგამოწლილად პოლიტიკის დარგში არიგებენ.

ბიძინა ივანიშვილსაც ბევრი ჭკუის დამრიგებელი და მრჩეველი გამოუჩნდა, რომლებიც თავიანთ წმინდათაწმინდა მოვალეობად თვლიდნენ, ესწავლებინათ პოლიტიკოსი ივანიშვილსთვის, როგორ უნდა ეკეთებინა პოლიტიკა, ვინ დაეყენებინა გვერდით, ვინ შეერისხა, როგორ ელაპარაკა და რაზე ელაპარაკა.

არადა, დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ის უკვე შედგა, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი, რომელიც არც თავისი წინამორბედებიდან და არც თავისი თანამედროვეებიდან არავის არ ჰგავს.

ბიძინა ივანიშვილი არის სრულიად ახალი პოლიტიკური აზროვნების და ახალი პოლიტიკური კონ-

ცეფციის პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს ქართულ პოლიტიკას ცივილური სახე დაუბრუნოს.

ვიღაცები მას უკან, პოლიტიკური ჯუნგლებისკენ მიექაჩებიან, მაგრამ მას ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ამ გეგმიდან არც გადაუხვევია.

მე ვნახე ბიძინა ივანიშვილის შეცბუნებული სახე, როცა მას ვიღაცები სთხოვდნენ, ფეხი დაეგა პლაკატისთვის, რომელზეც სააკაშვილი იყო გამოსახული.


არ არის ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში იმისთვის მოსული, რომ ვიღაცას გადაუაროს, ვინმე გასრისოს, ვიღაცას ფეხი დაადგას.

— მე არ მოვიფიქრე ვინმეს დასამარცხებლად, მე ყველა ქართველის გასამარჯვებლად მოვდივარო, — თქვა მან თავის პირველსავე წერილში.

კარგად ჩავუღრმავდეთ ამ სიტყვების შინაარსს და ნუ ვაიძულებთ მას დაემსგავსოს მათ, რომლებიც ძალადობით და სისასტიკით ცდილობენ ქვეყნის დაშინებას და დამონებას.

ბიძინა ივანიშვილი ქართული სატიკარაპას ქართულ მოდელს ქმნის და ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ ქართველმა ერმა წარმატებით გადალახოს თავისი წილი ქართული უღაბნო.

„ს.ბ.“ 2014



P.S. ეს წერილი მანამდე არის დაწერილი, სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდოდა, თუმცა მისი პოლიტიკიდან წასვლა სულაც არ არის იმით გამოწვეული, რომ მას პოლიტიკაში ხელი მოეცარა და პოლიტიკოსის მძიმე ტვირთის ზიდვა გაუჭირდა.

მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილი უნიჭიერესი პოლიტიკოსია, რომელმაც ახალი პოლიტიკური კულტურა შექმნა ქართულ რეალობაში და პოლიტიკის ხელოვნება ცივილურ, ჰუმანურ საწყისებს მიუახლოვა.

დაგაბდების დღეს ვულოცავთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებთ!



# ამერიკამ დასკოვ კალიგულაზე სასტიკი სააკაშვილი დემოკრატიის უუჩურად გამოაცხადა



გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი გიორგი გვცელაშვილი:

## უკრაინის ხელისუფლებამ სახელმწიფო დამნაშავეები შეიფარა, თანამდებობაზე დანიშნა და ამას ეძახის მებოზრობას?!

— ბატონო ელიზბარ, ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“ კვლავ ომში ჩართვისკენ გვიბიძგებენ. რა გზას უნდა დაადგეს საქართველო, რა არჩევანი გვაქვს?

— მაღლობა დმერთს, საქართველოს ხელისუფლება სწორ პოზიციებზე დგას. აქ მეორე ფრონტი რომ გაგვეხსნა, დღეს საქართველო აღარ იქნებოდა. როგორც თურქეთში განადგურდა ქალაქები, ჩვენც ისე მოვისპობოდით. ვინც ომში ჩართვას გვკარნახობს — გარეული თუ შიდა მტრები, მათ სამშობლო, ქვეყანა არ აინტერესებთ. არსებობს ხალხი, რომელსაც საქართველო უყვარს, ან ეზიზღება. აი, ნაცები კი საქართველოს გამოკვეთილი მტრები არიან. რაც მათ ქვეყანას დამართეს, ეს არც მონღოლებს, არც თემურ ლენგს, არც ჯალალედინს არ ჩაუდენია. თემურ ლენგის შემოსევის დროს, ხალხი ტყეებში იმალებოდა, მაგრამ ნაცების სისასტიკე თემურ ლენგთან რა მოსატანია. პროკურატურას დღემდე არ გამოუძიებია მათ მიერ ჩადენილი უამრავი სასტიკი დანაშაული. ჩემი თვალით მაქვს არაერთი ფაილი ნანახი, ეს კადრები ხალხს ყოველდღე უნდა აჩვენონ, დამნაშავეებს კი პასუხი აგებინონ. ჩვენი ხელისუფლების ნაკლია ამ ნაბიჯების მიმართ ზედმეტი მიმტევებლობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველმა მებრძოლებმა უკრაინიდან დაგვიწვეს მუქარა: ტანკებით გადავივლით.

ამ მუქარას აქ „ზურგს უმაგრებენ“ საბიუჯეტო და ის ხალხი, რომლებიც აქციებზე დგანან და გაპკივიან: დაგზოცავენ, მოკვლავთო. რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება?! როდემდე უნდა ვუთმინოთ ამერიკის ელჩს, რომელიც ქვეყნის მიმართ მტრულად არის განწყობილი. მან ლამის ნაცებზე „იქორწინოს“. კელი დეგნანის მტრულ გამონათქვამებზე რატომ არ არის შესაბამისი რეაგირება საგარეო საქმეთა სამინისტროდან?! უბედურება ისაა, რომ ჩვენ დასავლეთს ვუწევთ ანგარიშს და ვვიშვიშებთ: რას იტყვის ევროპაო. დღეს ევროპა განა ევროპაა? ევროპის ფესვები აღარ არსებობს — თავად ჭრინ თავიანთ ფესვებს. ამის მაგალითად ევროპარლამენტარების კორუფციაში დადანაშაულება და დაპატიმრებაც კმარა. მშრომლობა სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ზრუნა, რადგან ამ „წახილს“ ლოპინტური კამპანიისთვის გადახდილი უამრავი ფული „აჰყარა“. მახსოვს, როგორ ჩაიტანა ბოკერია ამერიკაში ხალხის ფული, 20 მილიონი დოლარი და დაარიგა. ეკა გიგაური, რომელიც ქვეყნის გამოკვეთილი მტერი, უზნუო დედაკაცია, წლიურად 15 მილიონი დოლარით ფინანსდება ჩვენი „დაუძინებელი მეგობრებისგან“. როგორ იქცევა ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი? გადარჩენის ნაცვლად მას საქართველო უფსკრულის პირამდე მიჰყავს.

თავის დროზე შევარდნამემ მოუსუფთავა ველი სააკაშვილს, მან კი ღირსება, ადამიანობა, ზნეობა, ყველაფერი გათელა და მხოლოდ მტრობა, ზიზღი, ტრადიციების უპატივცემულობა დაგვიტოვა მემკვიდრეობად. მისმა 9-წლიანმა რეჟიმმა სისხლის გუბეები დააყენა. ვგიჟდები, ამ ხალხს კიდევ ენის მოჩლეკვით რომ ელაპარაკებიან. ერთ ფაქტს მოგიყვებით: შევარდნაძის დროს არჩევნებში ვიღებდი მონაწილეობას. ჩვენმა პარტიამ 15% მიი-

ლო. ყველა გამარჯვებას გვილოცავდა. შევარდნამემ განაცხადა: ქართული ტრადიციების გამგრძელებელ ხალხს პარლამენტში ვერ ავიტანო. შედეგად, კილურამემ (ცესკო-ს თავმჯდომარე) იმამუნა, მაქინაციები ჩაატარა და პარლამენტს გარეთ დაგვტოვა, ჩვენთვის მოცემული ხმების რაოდენობა 10%-ზე დაიყვანა. ჩვენ გამო სხვებიც გარეთ დარჩნენ. ამის შემდეგ ჟურნალისტებთან განვაცხადე: არჩევნები გაგვიყალბეს, გარეთ დაგვტოვეს, თუ გავერთიანდებით და სამართლიანობისთვის ვიბრძოლებთ, შეიძლება, ეს ხელისუფლება სულ ტამ-ფანდურით გაეუშვათ სახლში-მეთქი. შევარდნამემ ჩემი განცხადება სახელმწიფოს დამზობისკენ მოწოდებად შეაფასა, მეორე დღეს დილის 9 საათზე სახლში პოლიცია დამადგა, დამიჭირეს და დამაპატიმრეს. იმ დროს უკვე თხუთმეტი წიგნის ავტორი ვიყავი, ხოლო ნაპირადაც, უშიშროებას ხაზიშვინი, ყოველდღე გადატარებდა-გადმოტარებდა და დესტრუქციით რომ გვემუშავებდა, რატომ არ იჭმრინა?!

— საბიუჯეტო დანახვას ვინ ჩივის, როცა დასავლეთი სააკაშვილზე გვეუბნება: პოლიტიკაში მარია და თუ არ გაათავისუფლებთ, კანდიდატის სტატუსს არ გაღიარებთო...


— რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, ამას ჩვენი ქვეყნისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თურქეთს უკვე 20 წელია, რაც კანდიდატის სტატუსს აქვს, მაგრამ ევროკავშირის წევრი არ ჯერაც ვერ გახდა. სტატუსს აქვს, მაგრამ ამან ხელი შეუშალა მის აფეთქებას?! მიწისძვრას ვგულისხმობ, რომელიც, არ მგონია, ბუნებრივად მომხდარიყო. სტატუსი მოლდავეთს და უკრაინას თუ მიანიჭეს, ჩვენ რას გვერჩოდნენ?! კარგით, უკრაინას სტატუსი ომის გამო მიანიჭეს, მაგრამ მოლდავეთი ყველა სფეროში ჩვენზე უკან არის. ევროინტეგრაცია-

ციისკენ კი მივიღებთ, მაგრამ ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ დღევანდელმა, იმ ევროპამ გვასწავლის ზნეობა, რომელიც გვეუბნება: კაცი კაცთან უნდა იყოს და ქალი — ქალთანო. თურმე, ჩემს შვილიშვილს, რომელიც მალე 15 წლის გახდება, უნდა ვკითხო: ქალობა უნდა თუ კაცობა. ამის კითხვა ვინმემ რომ გაბედოს, მაშინვე ტყვიას დავახლი.

მივესალმები ღარიბაშვილის განცხადებას — უპირველესად,

მამულზე, სამშობლოზე, დედის სიყვარულზე. ისეთ „შედევრებს“ ქმნიან, რაც ერს გადაგვარებას უქადის. მთავარი ილიასული პრინციპი არის „ჩვენ“ და არა „მე“. „ჩვენ“, ზოგადად, ქართველ ხალხს ნიშნავს. როდესაც ქართველი ხალხი, ერი ძლიერი იქნება, „მე“-ც ძლიერი იქნება.

ნაცები თხების ერთი დიდი ჯოგია. თხა მათ ბევრად სჯობს — იწველება და სარგებელიც მოაქვს, ნაცებს კი ბოროტების



ქართველი ხალხის ინტერესებს დავიცავთ. ძალიან მომწონს „ხალხის ძალა“, რომელიც სიმართლეს ღიად ამბობს. ასევე, ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი სამართლიანად წერს. იგი ჭკვიანი, ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსია. წლების წინათ წიგნი დავწერე — „ვახზე, ჩემო მამულო!“, სადაც აღვწერე, თუ რატომ მოიწვეს ჩვენკენ ამერიკა, რა ინტერესი აქვს. მას ქართველი ხალხი, სახელმწიფო კი არ აინტერესებს, არამედ ტერიტორია, ამერიკის ეს ინტერესი ზუსტად გამოიფრა ზაზა შათირიშვილმა. მას ჩვენი ერის განადგურება სურს. ამიტომ „გამოზარდეს“ ეს ვითომ ჭკვიანი ძმები ბერძენიშვილები. სინამდვილეში, ისინი კადიმოვები არიან. ეს ის ხალხია, ვინც საქართველოს, ილიას, ვაჟას, მეფე ერეკლეს აგინებს. ამერიკის იდეოლოგია კი არ გადაგვარჩენს, არამედ დაგვდუპავს. გადახედეთ, რა ხდება თუნდაც დღევანდელ ქართულ მწერლობაში. ამ ე.წ. მწერლებს წარმოადგენა არ აქვთ

გარდა, არაფერი მოუტანიათ. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ ერთ რამეს ვემდური — ამ მკვლელებს თავიანთი ადგილი რომ არ მიუჩინა. მათ მიმართ ზედმეტად დემოკრატიულები არიან. 2012 წლის არჩევნების მერე, ნაცები „სოროსის“ სოროში იყვნენ შემძვრალი და კოაბიტაციის შედეგად ისევ გამოძვრნენ. მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ამბობდა: მთავარი მიზანი ნაცების გადარჩენააო. პოდა რომ გადავარჩინეთ, ახლა მოგვიტრიალდნენ და დედას გვაგინებენ...

ტელევიზიებიც ნაცების სასარგებლოდ დადებენ. მედია მაყურებლის ტვინის არევაზე მუშაობს. როგორც ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“ ფიქრობენ: თუ ადამიანის გონებას დაიმორჩილებენ, ყოველთვის გამარჯვებული იქნებიან. ამიტომ, ჩვენი „მიუკერძოებელი“ ტელევიზიები ქართველი ხალხის დაჩლუნებას ემსახურებიან. რას გვაყურებინებენ? როგორ ვიპინა ვინმეა-





# ევროპა საქართველოს სუიციდისკენ უბიძგებს

## ქასობრიობა კარიკატურის შანრში გადავიდა, რას ნამდვილად მეორედ მოსვლის მანიშნებელია



გვესაუბრება ისტორიკოსი, ანალიტიკოსი სოსო მსოფლიო:

— სოსო, მსოფლიო პრესაში საინფორმაციო კამპანია გაჩაღდა: „New York Times“-მა დაბეჭდა, რომ საქართველო აგრესორს ეხმარება და მას იარაღს აწვდის, „Forbes“-მა სააკაშვილი პოლიტიკატიმრად გამოაცხადა, სიდნეის გაზეთმა — მიშა წამებულისა. ამას დაემატა ისიც, რომ სააკაშვილის სასამართლო პროცესები, საბოლოოდ, მილიონდოლარიანი კონტრაქტის შედეგი აღმოჩნდა — ევროპარლამენტარების დებატები და უცხოელი ექსპერტების დასკვნები ფარსი გამოდგა. მიზანი კანონიერი გადაწყვეტილებისთვის თავის არიდება იყო?

— დიახ, სააკაშვილის ლობისტებმა „მშენებელად“ იმუშავეს, თუმცა მათთვის სასურველი შედეგი ვერ დადეს. გიული ალასანიასა და აკერმანს შორის გაფორმებული მილიონდოლარიანი კონტრაქტი ყველაფერს ცხადყოფს. მილიონის წარმომავლობა გარკვეულია, მაგრამ ჯერ არ ვიცით იმ თანხების შესახებ, რაც არაოფიციალურად გადაიხადეს. ბუნებრივია, უცხოურ პრესაში სტატიები გარკვეული ინტერესების საფუძველზე იბეჭდება. მხოლოდ იდიოტებს შეიძლება ეგონოთ, რომ ლობიზმი პოლიტიკურ ინტერესს გამოიხატავს. კი ბატონო, გიული ალასანიამ „სიმართლის“ დასამტკიცებლად მილიონი დოლარი გადაიხადა და იმიტომაც დაფრუდნენ და დაბრმავდნენ, იგივე, მიშას ლობისტები ევროპარლამენტარები, რომლებიც წამებულის საზღვარგარეთ გადაყვანას მოითხოვდნენ. ეს გლობალური კორუფციული სქემის შედეგია, სადაც სიმართლე,

ზნეობა და ა.შ. ინტერესის საგანი არ არის. ქართველ ხალხს დასავლეთზე სულ სხვა წარმოდგენა და მოლოდინი ჰქონდა. საზოგადოება დიდი ხანია მიხვდა, რომ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული აბსურდი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას ვეღარ ახდენს. მათ მიმართ ნულოვანი ნდობაა. ჩვენ მოგვიწოდებენ: სიმართლეზე თვალი დავხუჭოთ, ღირებულებებზე უარი ვთქვათ, მაგრამ ასე აღარ იქნება, ეს დრო წარსულს ჩაბარდა.

— ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა: „ქართული ოცნება“ ევროპას უპირისპირდება. რა არის მთავარი — ჩვენი ევროპული მომავალი, თუ ევროპასთან ურთიერთობის საკუთარი თავისა და ღირსების შენარჩუნება?

— ღირსება უმთავრესია. ურსულამ სჯობს თავის მეუღლეს მიხედოს, რომელიც „ფაიზერთან“ ერთად უზარმაზარ კორუფციულ სკანდალში გაეხვია. გარდა ამისა, რასაც ურსულა გვეუბნება, აბსოლუტურად მიუღებელია. ევროპა ჩვენ სუიციდისკენ გვიბიძგებს. სწორედ ამისთვის ჰყავთ აქ თავისი აგენტურა ამოქმედებული, რომლებიც გვაშინებენ: თუ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას შევეცდებით, დავიღუპებით; აუცილებელია, ევროკავშირიდან წამოსული ყველა დირექტივა პირნათლად შევასრულოთ და ა.შ. სასაცილოა და, ამავდროულად, ტრაგიკულიც ის არის, რომ ლგბტქ+ იდეოლოგიის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვას გვაიძულებენ. თან ამას რუსეთთან დაპირისპირების მოტივით ხსნიან. ანუ, თუ ისეთები არ გახდებით, ჩვენ რომ გვაწყოფს, რუსეთის მოკავშირეებად ჩაითვლებითო. **მომავალი — რუსეთის წინააღმდეგ სანაცვლოდ და მასთან ყველა სახის კავშირი გავწყვიტოთ. გაუგებარია, ეს რატომ უნდა გავაკეთოთ? რატომ უნდა გავაყვანოთ? მეტიც, 2022 წელს რუსეთის მიერ ევროპისთვის გაზის, სასუქებისა და სხვა**

საქონლის მიწოდება 50%-ით გაიზარდა. საქართველოს, რომელსაც რუსეთიდან სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტები შემოაქვს, მაგალითად, ხორბალი, გვეუბნებიან: არამართო სამხედრო, არამედ ეკონომიკურ ესკალაციაზეც უნდა წახვიდეთო. ანუ, რუსეთ-უკრაინის ომში უნდა ჩავეერთოთ. დასავლეთი ამ ომამდეც მუდმივად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დესტაბილიზაციის შექმნის მიმართულებით მუშაობდა, რაშიც „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტებს — არასამთავრობოებს, მედიასაშუალებებს იყენებდა. ასევე, იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ქართველი ხალხისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. დიახ, ამ პარტიებს იმდენად არ აინტერესებთ საკუთარი ამომრჩევლის აზრი, რომ გვიღეკლარაციასაც კი მოაწერეს ხელი — კიკუსავით გაიხადეს და მერე თუმნიანების ამარა დარჩნენ, ეგონათ, ხელისუფლება შეიცვლებოდა. თუმცა ამით თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს და, საბოლოოდ, გაფარჩადნენ. ამიტომ ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადება არ უნდა გაგვიკვირდეს. აქ ხომ ევროპოლიტიკური ინტერესი აშკარად ჩანს. ევროკავშირი უკმაყოფილოა იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება ომისგან დისტანცირდა.

— ევროკავშირი 12 პუნქტის შესრულებას ითხოვს. მალე, ალბათ, მომდევნო 12 პუნქტიც გამოჩნდება, სადაც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასაც მოგვთხოვენ...

— ერთსქესიანთა ქორწინებას უკვე ისედაც გვთხოვენ. აღნიშნულ 12 პუნქტს რაც შეეხება, მათი შესრულება შეუძლებელია. ამ კუნძულების შესახებ მოსახლეობა ბევრი არაა. მხოლოდ ერთი საქართველო იხსენებს, რომ იმ ადგილზე უნდა დაეწყოს მშენებლობა, რაც თვითმკვლელობის ტროლზანია.

ამ შემთხვევაში ხელისუფლება დროის გაყვანას ცდილობს. ის ევროკავშირში არსებულ წინააღმდეგობებზეც გონიერად მანევრირებს, რაც შეეძება იმსახურებს. ხელისუფლებისა და ქვეყნის ინტერესები ემთხვევა. გეოპოლიტიკური ვითარების კუთხით ხელისუფლება ჭკვიანურად მოქმედებს.

— მაინც, სად არის ჩვენი ადგილი ევროპაში, ევროკავშირში თუ კიდევ სადმე სხვაგან?

— ჩვენი ადგილი სწორედ იქ არის, სადაც ვართ. სინამდვილეში, ამ გეოპოლიტიკურ რეალობაში ევროკავშირში შესვლა „არ გვემუქრება“. ამ ორგანიზაციაში ახლა ვენტლიაციური პროცესები მიდის. ამიტომ მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური დაპირისპირების მიხედვით, ევროპაში შესვლა არ არის სასურველი. თუმცა, თუ გავსვით, ევროკავშირში გაწევრიანების გზად

რებს, რაც შეეძება იმსახურებს. ხელისუფლებისა და ქვეყნის ინტერესები ემთხვევა. გეოპოლიტიკური ვითარების კუთხით ხელისუფლება ჭკვიანურად მოქმედებს.

— მაინც, სად არის ჩვენი ადგილი ევროპაში, ევროკავშირში თუ კიდევ სადმე სხვაგან?

— ჩვენი ადგილი სწორედ იქ არის, სადაც ვართ. სინამდვილეში, ამ გეოპოლიტიკურ რეალობაში ევროკავშირში შესვლა „არ გვემუქრება“. ამ ორგანიზაციაში ახლა ვენტლიაციური პროცესები მიდის. ამიტომ მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური დაპირისპირების მიხედვით, ევროპაში შესვლა არ არის სასურველი. თუმცა, თუ გავსვით, ევროკავშირში გაწევრიანების გზად

ჯერ მ.წ. პოლიტიკატიმრების — ომარაშვილის, რურუას, უბუღაშვილის, ბათაშვილის, ლაშვილის, ახლა კი სააკაშვილის მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ვპროგნოზირებ. ამაზე თუ გადის ევროკავშირში მიმავალი გზა, მაშინ ბრძანაც კი შეუძლია დაინახოს: რას წარმოადგენს, სინამდვილეში, ეს ორგანიზაცია. რადგან მხოლოდ ფსიქიკურად შერყეულ, შეპყრობილ ადამიანს არ ძალუძს დაინახოს: რას წარმოადგენს ნაცები, ვინ არის სააკაშვილი, რა დანაშაულები ჩაიდინა და ახლა როგორ იქცევა! ფაქტები უამრავია. რატომღაც ამ ფაქტებს, რეალობას ევროკავშირი ფართოდ დახუჭული თვალებით უყურებს. ამ ევროპარლამენტარების ნაწილი, სააკაშვილივით არანორმალურები არიან და ამ სიგიჟეებსაც თავს გვახვევენ.

— ნაცების ახალმა თავმჯდომარემ მიშას დასახსნელად ყოველდღიური „ფართომასშტაბიანი“ აქციები დაიწყო...

— ამ პროცესმა უკვე კარიკატურული ფორმა მიიღო. ხაბეიშვილი ნაცებისა და მათი მხარდამჭერების სულიერი განწყობილების გამოხატულებაა. იგი ანეკდოტური ფიგურაა, დიახ, ნამდვილი კარიკატურაა. ყველაზე სასაცილო, იცით, რა არის? — „ნაცმოძრაობამ“ არჩევანი სწორედ მასზე რომ გააკეთა. პარიკატურული ფიგურაა თავად სააკაშვილიც. მათი მხარდამჭერი ფაქტობრივად მთელი მსოფლიო საამბრო ურბანი დადის. გლობალურად, კაცობრიობა პარიკატურის შანრში გადავიდა, რაც ნამდვილად მეორედ მოსვლის მანიშნებელია. გლობალური საკონცენტრაციო ბანაკი იქმნება. ეს პროცესი მთელ დედამიწაზე მიდის. მეორედ მოსვლა ტყუილად როდი ვახსენე. ჩვენი მედია, აგენტურა, ანუ, დასავლეთის სასარგებლო იდიოტები, შეგნებული ინსპირატორები გაბოროტებულნი, გაშმაგებულნი არიან. ისინი განუწყვეტელი ტყუილებისა და აგრესიის, უარ-



ყოფითი ემოციების გამოხატვით დემონოლოგიის სახელმძღვანელოში აღწერილ პერსონაჟებს დაემსგავსნენ. ბუნებრივია, მათთვის სამშობლო უცხო სიტყვაა. ამ გაბოროტებული არსებებისთვის ადამიანური ღირებულებები აბსოლუტურად მიუღებელია. ეს გახლავთ ჩვეულებრივი ჭინკების სამეფო, მაღლა ამოსული ჯოჯოხეთი, რომელთა ქმედებებს ჩვენს ტელევიზორებში ყოველდღიურად ვხედავთ. ისტორიამ ცუდი ზუმრობა იცის. გუბაზ სანიკიძე, აკია ბარბაქაძე, ინგა გრიგოლია და სხვები ამ ყველაფრის სიმბოლოები არიან. ისინი ათი წლის წინ ზუსტად იმის საწინააღმდეგოს ამბობდნენ, რასაც ახლა ქადაგებენ. ძალიან სასაცილოდ გამოიყურებიან. მათ გონება და სული სიბინძურით აქვთ გაგლეხილი, რასაც თავად ვერ ხვდებიან და კიდევ უფრო სასაცილოდ გამოიყურებიან.

— ნაცების სამუშაო გეგმა კვლავ უცვლელია. ამჯერად

პმრსონა ამ ურავატრიოტიზმის არსს გამოხატავს. ის პეროზმითაა განმსჭვალული და მზად არის, არა საკუთარი თავი, არამედ სხვები ევროკავშირში შესვლას როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად შესწიროს.

— ხაბეიშვილის ასკაციან აქციებს 24 თებერვლიდან ლიაკას, გირჩის და ჭიჭვის „ეროვნული მოძრაობა“ გააძლიერებს. რა მოლოდინები გაქვთ?

— ჩვენი მედიასაშუალებები ხალხს პიანოზურ მდგომარეობაში ამყოფებენ. სინამდვილეში, ქუჩაში რამდენიმე ათეული ადამიანი გამოვა, ამ ე.წ. პოლიტიკოსებს კამერებს მიუშვებენ, მათ ლოგორეა დაემართებათ და აგრესიას გადმოაფრქვევენ. მერე ამას სოცქსელებში გარჩევენ, შემდეგ ისევ ახალი ციკლი დაიწყება და ა.შ. რა ეროვნულ მოძრაობაზეა ლაპარაკი, პერსონებს შეხედეთ, სუფთა წყლის კომედიანია.

— გიული ალასანიამ დაიწყო: ჩემს ქონებას ვადალა ადევს,

მხოლოდ კლინიკურ იდიოტებს შეუძლიათ ალასანიას ზღაპრების დაჯერება.

— სააკაშვილის დროს უამრავი სისტემური დანაშაული ხდებოდა, თუმცა მიშას „დემოკრატიის შექმნა“ უწოდეს, მის სიმულაციას კი — წამება...

— ეს უკუღმართობის საოცარი დემონსტრირებაა. საქართველოში ბევრი ადამიანი ყველაფერს რუსეთს აბრალებს და მიაწერს, რაც სიბრიყვის, უზნეობის ნაზავია. ბოროტების ერთადერთი სათავედ რუსეთის გამოცხადება, უმწიფრობას, სხვა ქვეყნების სასარგებლო იდიოტად ყოფნას ნიშნავს.

ბევრ ქვეყანაში საქართველოზე უარესი მდგომარეობაა. ბაიდენის ადმინისტრაციას რომ შეხედავ, გუბაზ სანიკიძე კი სიმპათიურად მოგჩვენება. ბაიდენი მოჩვენებებს ელაპარაკება. ურსულა ფონ დერ ლაიენი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავის ქმართან ერთად 71-მილიარდიან სკანდალშია გახვეული. ევრო-



ვართ და ღირსეულად ვიპოზიციონიროთ. თორემ, დასავლეთის ზეწოლას საზღვარი არ აქვს — ჭეშმარიტი კოლონიზატორების შთამომავლები არიან.

— ოპოზიციის თქმით, რუსეთის საქმე უკან-უკან მიდის...

— ეს ოპოზიცია, მისი სატელიტები ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არიან. რუსეთს ომში უპირატესობა რომ აქვს, ამას არესტოვიჩი და რეზნიკოვიც ამბობენ. იგივეს ადასტურებენ დასავლელი ექსპერტებიც. რუსეთს უპირატესობა ომის დაწყებიდანვე ჰქონდა. კი, ბატონო, მან რაც გააკეთა, ამას გამართლება არ აქვს, თანაც, რუსული არმია აბსოლუტურად დემორგანიზებული იყო. სწორედ ამიტომ გაურთულდათ საქმე. უკრაინისა და რუსეთის პოტენციალის შედარება უადვილოა, სხვაობა უდიდესია. რუსეთი არ თუ ვერ იყენებს თავისი პოტენციალის უდიდეს ნაწილს. ეს ახალი ტიპის ომია, სადაც ყოველდღე უამრავი ადამიანი იხოცება და ამ დროს არ წყდება უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპისთვის გაზის მიწოდება.

მათ რომ ჰკითხო, რუსეთის საქმე უკუღმა წავიდა — ჯერ ზომ პუტინი სასტიკად იქნა დამარცხებული თავი ჩარკვიანის მიერ საბურთალოზე. ჩვენმა სამხედრო ექსპერტებმა რაკეტები ზომ ამოუთავეს ჯერ კიდევ აპრილში. ესეც არ აკმარეს და „ნაცმოძრაობას“ პუტინის სასტიკი და მრისხანე მოწინააღმდეგე, ლევან ხაბეიშვილი ჩაუდგა სათავეში. თითქოს გუბაზიკო სანიკიძე არ ჰყოფნიდა თავის ტკივილად, რომლის ომახიანი ხმა კრემლს აზანზარებს. გირჩი



მათ ხელფასიანი ბოიკოტი გამოაცხადეს...

— წესით, მათ დაფინანსება უნდა შეუწყვიტოთ და ამ მაიმუნობას მაშინვე ბოლო მოეღება. მაგრამ ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“ ამის საშუალებას არ გვაძლევენ. დასავლეთიდან მომენტალურად ბრალდებების ტალღა წამოვა: თავისუფალ სიტყვას ახშობთ, პოლიტიკური რეპრესიები ხორციელდება და ა.შ. ისინი, სინამდვილეში, ქოფაკები ე.წ. Hound-dog-ები არიან, რომელთაც უნდათ, ნებისმიერი ქვეყანა მოწყვლადი გახადონ. მთელი ეს ლიბერალური პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყნებში სტაბილური ხელისუფლებები არ იყვნენ. დიან, არ უნდა არსებობდეს ნორმალური სოციალური სახელმწიფო, რომელიც სიმშვიდეს შეინარჩუნებს და დაპირისპირების გარეშე განვითარებას განაგრძობს.

— წელან გუბაზი ასხენეთ. იგი სოლიდარობის ნიშნად ნაცების ბოიკოტს შეუერთდა, ოღონდ, მანდატს ვერ დავეტოვებ, მიშას მოსანახულებლად მჭირდებაო, — განაცხადა.

— ეს კაცი ანეკდოტია. ანეკდოტია ის მჭავე პატრიოტიზმიც, რაც აქ არის გაბატონებული და რომლის მიმდევრები გუბაზი და მისთანანი არიან. თუმცა მჭავე, ურავატრიოტულ შემახილვებს ნელ-ნელა ყავილი გასდის და ემოციებით ადამიანების მანიპულირება უფრო და უფრო ძნელი ხდება. გუბაზის ანეკდოტური

მიშამ წასვლამდე ჩემი დედ-მამის ერთადერთი სახლი ბიბლიოთეკის მოსაწყობად დაანგრიო...

— მოკლედ, კომედიის ჟანრს ვერ გავცდით. ამ ოჯახის უსირცხვილობას საზღვარი არ აქვს. იცით, რა გამახსენდა, ტელევიზიით ალასანიას ქონების შესახებ სიუჟეტს რომ ვუყურებდი? — „ქეთო და კოტეში“ ქეთოს მზითვევის ნუსხას რომ კითხულობენ. გიულის არავინ ეკითხება: საიდან აქვს ამდენი ქონება?! ისიც საინტერესოა, რა თანხებით ფინანსდება უკვე ათი წელია, „ნაცმოძრაობა“?! გასაკებია, რომ ის თანხა, რაც ლობისტებს დაახარჯეს, მოპარული ქონების მხოლოდ მცირე ნაწილია. გიულიმ, ბინა გავეყიდე, დატაკი ვარო და ამ დროს 50 ბინა აღმოაჩნდა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.



ჯაფარიძის მსწრაფლამხედვლთა სპეცრაზმს რაღას მოუხერხებენ? აბა, რა ეგონათ? მათ არ იცოდნენ, რომ ჩვენი პოლიტიკოსების თავები კვახის პრინციპითაა მოწყობილი — ჯერ მაგარია და ვერაფრით შეაღწევ შიგნით, მაგრამ რომ დაიწყოფდება, ხმაურით სკდება და იქიდან კვახის, ანუ გოგრის თესლები იფრქვევა. ამ თესლებიდან კი კვლავ ასეთივე თავგოგრა პოლიტიკოსები ამოდის.

ნაცებს, მათ მხარდამჭერებს თავის დროზე ტყუილად როდი დაეარქვე უერთადგილო იგილი, ამომავალი მიშას სექტა. მათ ჯერ კიდევ უკრაინის ომის დაწყებამდე ვურჩევდი უკრაინაში გადასახლებას, გული მიგრძობდა, რომ ჩამოყალიბდებოდა აქამდე არნახული ფსიქიკური ავადობა — უკროფრენია და შეიქმნებოდა ახალი ეთნოსი — უკროქართველები. საოცარი სასჯელი გვერგო — მთელი ერი 20 წელია, ამ არანორმალურის და მისი სექტის დღის წესრიგით ცხოვრობს და ბოლო ერთი წელია, მიშა-მიხეილის კუჭ-ნაწლავის თავისებურებების უბადლო მცოდნე გახდა.

— ნაცების დაწყებულ აქციებს რა შეიძლება მოჰყვებო?

— ქურქუმალეების რვეოლუცია არ მოხდება, მათ ამის პოტენციალი არ აქვთ. ჩვენს წინაშე სულ სხვა გამოწვევები დგას — ქვეყნის განვითარების და ის, რომ დღის წესრიგს ქურქუმალეები არ ქმნიდნენ. ასევე, საზოგადოება არ ჰგავდეს ცხვრის ფარას, რომელსაც ჩხავანა კატები ჩამოუკიდეს წინ. ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები უფრო და უფრო მწვევდება, მათ შორის, ეკონომიკური. ეს უნდა გადაწყდეს. ჩვენ იმაზე არ უნდა ვმსჯელობდეთ: რას იტყვით გუბაზ სანიკიძე და რით დაგვეუქმრება ქურქუმალე ვაითი, არამედ, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ქვეყნის გადარჩენაზე უნდა ვფიქრობდეთ. ჯერ მართო ის რად ღირს, რომ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვართ, რაზეც არავინ საუბრობს. გარშემო მძიმე სიტუაციაა, პოლიტიკური თამაშები შეიძლება ცუდად დამთავრდეს — კერძოდ, არეულობითა და სამოქალაქო დაპირისპირებით.

# სუპერაფერისები სახელმწიფო გადაბრიალების ეგიდით ორი კურდღლის დაჭრაზე ოცნებობენ

აფერისტი აფერისტია, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული სახეობის აფერისტები გვყავს — სუპერაფერისტები! ისეთი სუპერები, პოლიტსექსშიც რომ ძლიერები არიან. იხვანხვალევენ, კარგად იბურჯენავენ, გამოადნობენ ერთმანეთს, რაც გამოსადნობი აქვთ და ერთმანეთი რომ მოყვარდნობთ, წიხლებს ირტყემენიან გაძღვებაზე — პირველი ვინ გადმოვარდება პარტიული სარეცელიდან.

ახლაც ასე მოხდა. ივანემ და დავითმა ისეთი წიხლი ჩააზილეს თავიანთივე ძუძუნაწოვებს, პოლიტსექსურზე თავდარტყმულებს რაც შეეყვით, ჯერ ვერ დაუწმინდავენიათ.

ერთი-ერთზე აპირებდნენ სახელმწიფო გადაბრიალების გამეორებას ეს გაჭირვებულები, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდათ, ერთმანეთიდა გადაატრიალეს.

ნამდვილად შედგა ამ ქვეყნის მათხრებელი ავზინანების არჩევნები და გაიმარჯვა მათივე რჩეულმა ხაბე ივანეს ძე კეხერაშვილმა, მაგრამ ეს კბილცქვიტა ის კაცია, ვინც ხელი მოაწერა რევოლუციის, ძალადობისა და რადიკალიზმის განხორციელებას საქართველოში. დიდი ილია ამბობდა: ჩვენს დროში სიტყვა „კაცი“ ისე დაკინდა, მას „კაცურის“ დამატება დასჭირდა, ჰოდა, როცა ნამდვილ კაცზე იქნება საუბარი, მეც მაშინ დავამატებ „კაცურს“...

გადარჩენის მოტივით საქართველოს არსებობას რომ წყალი შეუდგეს, ყველანაირ უმგვანობაზე წავიდნენ, მიდიან და წავლენ. იმ დონეზე არიან დაცემულები, რომ პლინტუსსდაბლა დავიდნენ, პირსისხლიან აფთრებდნენ იქცნენ. ერთი გაფაჩუნება არ „გაატარეს“, ყველა უბედური შემთხვევისა თუ დიდი ტრაგედიის სათავესოდ ხელმოსათობად მიტრიალება სცადეს, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდათ, უკრაინიდან ბელადილა მოუვლინეს განუბაჟებელ არაფნად. ახლა ის სუპერაფერისტი კარცერ-ლუქსშია გამოტოლი და სხვა სტილში აფერისტობს, გარეთ კი 2023 წელია.

კი, ნამდვილად დაუძველდათ ილეთები კრებსით მურტალოებს შინ და გარეთ, სამეზობლოში თუ „დაუძინებელ მეგობრებში“, თორემ, ზოგადი მოცემულობა იგივეა: სამიზნე — საქართველო და ერთი კაცი.

20 წლის წინათ ის „ერთი კაცი“ სხვა იყო, ხოლო საქართველო, მარადიული საჯიჯგინი — უცვლელი.

20 წლის წინათ ედურად შევარდნადის თავი უნდოდათ სამსხვერპლოზე მისატანად, ახლა მადამოემტათ და „ერთი კაცის“ თავთან ერთად საქართველოც „ჩასატან თავანად“ აქციეს.

რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს, უსამშობლოებს ხომ ფეხზე უნდა



არაიან, მეტი როგორღა გადაიროს — მათი სუპერაფერისტი ბელადი საკუთარ ფეკალიებსდა აგორგოლავეს, ხოლო პოლიტგამწარებული ქვეაფერისტები ხელშიდა ჭყლეტენ...

რა ვქნათ, საქართველოსა და „ერთ კაცს“ აზრადაც არ აქვთ პარაკირის გაკეთება...

ისე, ამის დედა რომ ვატირე, ბედი არ უნდა ქვეყანას? თითქოს ჩვენი აფერისტები და სუპერაფერისტები არ გვემაროდა, „მეგობრებიც“ როგორი ზეაფერისტები დაგვეტრთვნენ!

მოკვლედ რომ ვთქვათ, რას ითხოვენ ეს სუპერაფერისტები

იგივე რუსეთის ძუძუნაწოვთა სახით დაგვატყდა; 2003 წლის სახელმწიფო გადაბრიალება ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ იყო და ივანოვი მთლად პარლამენტის წინ გამოგვეჭიმა...

რა ვიცი, მეუცნაურება და ვამბობ...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო პოლიტიკური ავანტურისტების მსხვერპლი გახდა და წინსვლას ვინ ჩივის, უკან დაიხია, განვითარება შეწყვიტა...

გამსახურდას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველო მაძლარი, თუმცა გამსუნაგებული საბჭოთა ნომენკლატურის ხელში ჩარჩა, მაგრამ შევარდნამ საქართველო ინიციატივით გამოზარდა საკუთარ უბეში დამშეული წიწილები — დიდი იაღლიში მოუვიდა „თეთრ მელას“, რა უნდოდა ასპიტის სლიკინა წიწილებს მელას ფუმფულა უბეში...

მცირე ხანშივე გამოიშალნენ შევარდნადის უბეში გამოზრდილი ასპიტები და ელვისებური სისწრაფით გაამრავლეს საკუთარი რიგები პატარა-პატარა, მაგრამ უსამაგლესი ნაბურბებით, „ასო“-ებით (არასამთავრობო ორგანიზაციები), რომლებიც მოღონიერდნენ და დაგესლეს სრულიად საქართველო, რა თქმა უნდა, გამზრდელი მამით დაიწვეს...

ახალი წარმოების ავანტურისტები რატომღაც არ ჩანან ასპარეზზე და რაშია, ნეტავ, საქმე, ჯერ ძველები არ გაცვეთილან, თუ რა ხდება?

არ არის უცნაური, რომ „დიდადი დასავლეთი“ ჭკატებზე ფეხს იდგამს, მაგრამ მინც ვერაფერს გახდა, ისლა დარჩა, ყურით მორთული რადაც ევროპული ღირებულებებით დაიწვოს ქორვაჭრობა?

სუპერაფერისტები ხან პარლამენტთან აჭიჭყინეს, ხან პროკურატურაზე მიაქსიეს, ხან შსს-ზე, ხან უშიშროებაზე, ხან სასამართლოზე, ხან სად და ხან ვისზე, მაგრამ უშედეგოდ.

კი, იციან, სახელმწიფო რომელ სამ საყრდენზე დგას, რა განსაზღვრავს მის მდგრადობას, მაგრამ „დასავლური გონებით“ ვერაფრით ჩამოაქციეს. ფორმულა ასეთია: ჯერ იწვევა მოთელვა, შსს-იზ, პროკურატურისა და სახელმწიფო

უშიშროების სამსახურის დისკრედიტაცია მათდამი დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით; პარალელურად მიმდინარეობს გამაღებელი მუშაობა „ფული, ბაბაია“ ხალხთან და „გლაუკომატვინიანებთან“. მეტი კი არ უნდა ამ ოცი-ოცზე საქართველოს, ჰობ და ტომარაშია! ირჯებინა ზედმიწევნით, მაგრამ რატომღაც განვითარება აღარ მოსდევს მათ ფხარკალს, არადა, ყველა უწვევბამი მათი ხალხია ფეხიფეხგადადებული...

დაიწვეს მოთელვა და თვით დარჩნენ გათელილები — რა ვქნა, უცნაურად მეჩვენება-მეთქი, რა ხდება?!

მხოლოდ ერთადერთი აზრი მომდის დასკვნის სახით: ის ხდება, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, წინამორბედებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს შენება სერიოზულად გადაწყვიტა. შესაბამისად, მხოლოდ ისეთ სველებს აკეთებს, რაც ქვეყნისთვის იქნება მომგებიანი.

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ უარი თქვა ყოველგვარ ქვემეპრობობაზე, რაც სურს, ღიად ამბობს; რასაც გვემავს — არ მაღავეს; რა მიხნები და პრიორიტეტები აქვს — ხმამაღლა აცხადებს; მტრობა არავისთან სურს, მოკეთეს ხელს ართმევს გულითადად. ასეთ მოცემულობაში, ელემენტარულად, ავანტურისტების ასპარეზის ადგილი აღარ რჩება.

რას ვიზამთ, როგორც ვადაგასულ მეძავეს არავინ უკეთებს ღუმელში შეშის ნაცვლად, ისე ვადაგასული ავანტურისტები არ აწყავთ სახრხოვებაზე და არც ელექტროსკამზე დასმა ემუქრებათ — ყოველ შემთხვევაში, უაზროდ ჰუმანურ საქართველოში ასეა და ცივილიზებულ ე.წ. დასავლეთში, ისეც უქნიათ, ლობიოს სარზე შემოუხვევიათ...

კაცმა რომ თქვას, ახალი ჩამოსხმის ავანტურისტები ჯერ მინც არ გვეჭირდება, საქართველოზე თავდამსხმელი და ქართველების ამომღელტი მათხრებლები გვეყავს დასათვლელი. უკრაინაში მყოფი სიაფანდი მებრძოლების ზიზღისმფრქვევლი სწრაფვა ვიცით, აფხაზეთის გამოვლით თავდასხმას და ღორებით ამოყ-



საინტერესოა, ნაცაფერისტ ქვეყნის მათხრებლებს რატომ ჩაესოთ სამსჯავლივით უდებლუსა და „კეხერას“ ნაცპარტგათემ-ჯდომარეობა? იმიტომ ხომ არა, რომ ერთიან ავანტურისტულ გაერთიანებაში განხეთქილების ვაშლის ჩავარდნამ აღნიშნული გაერთიანება ორ არათანაბარ ნაწილად გაკყო, მეტობა შეიარაღებულია ისეთი „ხერხეულითა“ (კომპრომატებით) და ჯიბით, რომ მეორე ნაწილს — „პირს დააღებს და ყლაპს უზამს“? კი, უნდა ემინოდეთ იმ ცულის, რომელსაც ტარი მათივე ხისგან აქვს გამოთლილი, თან საფუძვლიანად...

კარგი, გადაატრიალეს ერთმანეთი, მაგრამ დიადი მიხანი, დააბრუნონ საქართველოში 2003 წელი, უცვლელია. საქართველოს

ეგიდით „რადაც საქართველოც“ და ამ ქვეყნის ვიღაც მოქალაქეებიც, მთავარია მათი პირადი კეთილდღეობა და საკუთარი ტყავი, სხვა ყველაფერი წყალსა და მეწყერს წაუღია...

ეს უსამშობლო სუპერაფერისტები ან ველარ გაიზარდნენ და იმ დროშივე ჩარჩნენ, ლანგრით რომ მიართვეს ხელისუფლება, ან ისე დაბერდნენ, რომ გამოქვათაყურდნენ და ავიწყდებოდა, რა დახასიათება შეუქმნეს საკუთარ თავებს და როგორი სისხლიანი ისტორია — საქართველოს.

ეს კრებსითი არარაობები, ძალაუფლების გარეშე საკუთარი ჩრდილსაც რომ ეშინიათ!

ცხონებულმა ბებიამემა იცოდა შეცხადება, „გადარევეს ჩემი გამჩენიო“ და აპა, გადარეულები

გაღმა-გამოღმიდან, რაო, რა გვინდა, ორასამდე რჩეული სუპერაფერისტის კეთილდღეობას შეგვეწირეთ დანარჩენი საქართველო? — კიტაროს!

ბევრი იგლახავეს ამ გაჭაჭულმა გაჭირვებულებმა, რომ რამენაირად შეერყიათ სახელმწიფო საქართველოს ხელისუფლება, მაგრამ აღარ გაამართლა ძველმა სცენარმა, ახლის მომგონებელი თავი კი, ან გაგორებულია, ან კმაყოფილია არსებულით და სულაც არ აპირებს გატოკებას.

კაცი რომ დაფიქრდეს, ნამდვილად უცნაურად მოჩვენება ჩვენში მომზდარი რევოლუციები. „ოქტომბრის რევოლუცია“ იყო და რუსეთიდან დაგვეცა; გამსახურდას ხელისუფლების დამხობა იყო და საბჭოთა ძუძუთი,







# აღაიანის უფლებების დაცვა ქვეყნის სამართლებრივი უსაფრთხოება

თურმე მისი უფლებები ირღვევა, მას აწამებენ და ა.შ. ეს ხომ სირცხვილია. ამიტომაც ვაღიარებ, რომ ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობები. თუ დასავლეთის მიმართ კრიტიკას გააფლავებ, ე.ი. პრორუსი ხარ. რუსეთი ჩვენი მეზობელი და რეგიონის ლიდერი ქვეყანაა. დიპლომატიის არსი ის არის, რომ მასთან საერთო ენა გამოიხატოს. ამას ალტერნატივა არ აქვს. დასავლეთი ცდილობს: ჩვენ გამოიხატოთ ფაქტორი ვიყოთ. ეს დესტრუქციული ფუნქცია უნდა მოვიშოროთ და კონსტრუქციული შევიძინოთ.

— თან, გვეუბნებიან: საქართველოს ევროინტეგრაცია სააკაშვილის ბედზე დამოკიდებულია.

— სააკაშვილი საქართველოში არ უყვართ. იგი მკვლელობებთან, გაუპატიურებებთან, ქონების დაყარებასთან და, ზოგადად, ტირანიასთან ასოცირდება. როცა დასავლეთი პირობად მივსას ბათავის უფლებას გვიყვანებს, ძალაუფლებად მის მიმართ ნეგატიური განწყობები ყალიბდება. სააკაშვილი დამნაშავეა და სასჯელი უნდა მიიხდლოს. რა

— დღეს ევროპარლამენტმა სააკაშვილის გათავისუფლებისა და მისი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვების თაობაზე რეზოლუცია მიიღო...

— მსგავსი რეზოლუციები დასავლეთის დისკრედიტაციას იწვევს. მეტი უკვირთ: რატომ არის საქართველოში პრორუსული განწყობები გაზრდილი. ასეთ გადაწყვეტილებას რომ იღებ, რაც ქვეყნის მოსახლეობასთან თანხვედრაში არ არის, სხვას რას ელი?! თუმცა, მოსახლეობა მაინც ევროკავშირში ინტეგრირების მომხრეა. მაგრამ ისეთ პირობებს გვიყვანებენ და ისე იქცევიან, ეს ხაზი დისკრედიტირებულია. „ნაცმოძრაობა“, არასამთავრობოები ანტისახელმწიფოებრივ გზას ადგანან და დასავლეთიც სწორედ მათთან ასოცირდება.

— გიული ალასანიამ საზოგადოება სპექტაკლში — „მიშას კლავენ“, ჩართო...

— მე ტექნიკურ უნივერსიტეტში ვმუშაობ. გიული ალასანიამ იქ, იცით, რა ქნა? — ასწლოვან უნივერსიტეტს სპორტული მოედანი წაართვა. ვერ ვხვდები, რატომ



გამოდის? — ერთი მხრივ, მიზანმიმართული სასამართლო უნდა გამოდგეს, ადაღიანის უფლებები დაცვაში და მორაპორი, მოიჭრონ: უსამართლო ნაბიჯები გადავიდეთ!!!

მიშა ეროვნული ლიდერი არ გახლდათ. იგი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების გამტარებელი არ იყო. სააკაშვილი გარკვეული უცხოური ძალების გავლენის აგენტი იყო და რასაც ისინი ეუბნებოდნენ, იმას აკეთებდა. მოვა დრო და 2008 წლის ომთან დაკავშირებით მისი ქმედებები სამართლებრივად შეფასდება. სწორედ მისი წყალობით დაკარგეთ ტერიტორიები. მან კოდორი ზემო აფხაზეთად შეარაცხა. ის, რაზეც დღეს სააკაშვილი სამართლებრივად, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მან საქართველოს, ქართველ ხალხს დაუშავა. გასაგებია, რომ იგი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს, რადგან დასავლეთიდან მის მიმართ ყურადღება გაზრდილია. ეს კარგი არ არის. სააკაშვილიც ჩვეულებრივი პატიმარია და ისეთივე პირობებში უნდა იყოს, როგორშიც სხვა პატიმრები არიან. ბევრ მათგანს უფრო მცირე დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიდრე მას, მაგრამ უფრო მკაცრი სასჯელი აქვს მიხვედრილი. დიან, სააკაშვილმა პასუხი, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და ერის წინაშე უნდა აგოს.

სარგებლობს ასეთი პრივილეგიებით?! მისი ქონების აურაცხელობა შეგზარავს. საქართველოს წინააღმდეგ დესტრუქციის მოწყობას მილიონები ხმარდება. ის ხომ ჩვეულებრივი, არაფრით გამოჩეული პროფესორი იყო. ქვეყანა გამარცხდა და ამას პასუხი უნდა აგოს. დღეს ნაცები ისევე ძველებურად კარგად გრძობენ თავს — მოკალათებულნი არიან არასამთავრობოებში, სადაც დიდ ხელფასებს იღებენ, ასევე, უნივერსიტეტებში, სადაც ახალგაზრდობას წამლავენ, პარლამენტში ბოიკოტს აცხადებენ და ხელფასებს მაინც იღებენ. რისთვის უუხდით დეპუტატებს ხელფასს, რომ ქვეყნის წინააღმდეგ იმოქმედონ?! მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, რადგან დასავლეთიდან დაკვეთა აქვთ მიღებული, რომ დესტრუქციული ქმედებები განახორციელონ. მათი დისკრედიტირება ბოლომდე ხდება. მიშაც თავის ქვეყნით ნაცებსა და საკუთარ თავსაც მალე დაძირავს. ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა მიშაც, მისი წონის პრობლემა და ნაცებიც თავის დესტრუქციანად. ან როგორ იქცევიან?! რამდენიმე დღის წინ „იმედთან“ მამუკა მდინარეთს დახვდნენ, რითაც მათი ლუსტრაცია მოხდა. ნაცების პოლიტიკური მოღვაწეობა დასასრულს უახლოვდება.

თამარ შველიძე  
555 23 28 24

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იუსტიციის მინისტრთან და მის აპარატთან შეხვედრის დროს პირადად გაეცნო სამინისტროში 2023 წლისთვის დაგეგმილ ინიციატივებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს.

გვემეტი მართლაც შთაბეჭდილება. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროსთვის ძირითად ამოცანად კვლავ სამი ძირითადი მიმართულება რჩება: ადაღიანის უფლებების დაცვა, ქვეყნის სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და იუსტიციის სახლის ხელმისაწვდომი მომსახურება.

სახელმწიფო მომსახურების მიმართულებით ყურადღება გამახვილდა 2022 წელს დაწყებულ ისეთ პროექტებზე, როგორცაა მიწის სისტემური რეგისტრაცია და სისტემური დამსამართება. პროექტის თანახმად, სახელმწიფო 59 მუნიციპალიტეტში წინასწარ დაგეგმილი გეგმა-გრაფიკით მოქალაქეებისათვის უსასყიდლოდ აზომავს და დაარეგისტრირებს მიწის ნაკვეთებს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სახელმწიფო პროექტის წყალობით, ათობით ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთები მოქალაქეებს რეგისტრაციაში საკუთრებაში უკვე გადაეცათ.

დღეს მოქალაქეთა უმრავლესობამ არ იცის, რას ნიშნავს ე. წ. მიწის სისტემური რეგისტრაცია არსი. იუსტიციის სამინისტროს ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის არ განუმარტავს კანონის ეს დანაწესი, რომ მიწის სისტემური რეგისტრაცია ეხება მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთებს, რომელზეც რაიმე უფლებაა წარმოშობილი. მართლაც რომ ვთქვათ, თუ მოქალაქე ქონებას მეტეკვიდრობით ფლობდა და ვერ არეგისტრირებდა, ამასთან, არც აზომვის და არც იურისტისთვის გადასახდელი თანხა გააჩნდა, ამ ახალი კანონის მიხედვით, სახელმწიფო ეხმარება მას, უფასოდ დაარეგისტროს წლობით გაუფორმებელი მამაპაპისეული ქონება.

არასწორად გაგებული კანონი ხშირად ბევრ გაუგებრობებს იწვევს. მოქალაქეთა არცთუ მცირე ნაწილი დარწმუნებულია, რომ ეს კანონი ყველა კატეგორიის მიწის ნაკვეთს ეხება და პეონიით,



რომ სახელმწიფო მათ ნებისმიერ ნაკვეთს დაუკანონებს. არადა, საკანონმდებლო აქტი სისტემური რეგისტრაციის შესახებ, მხოლოდ კანონიერად მიღებული, მაგრამ დაურეგისტრირებელი ქონების რეგისტრაციას ეხება.

რატი ბრეგაძემ პრემიერს გააცნო ახალი საკანონმდებლო ინიციატივები. იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შესაბამისად, 2023 წლისთვის იგეგმება პენიტენციური კოდექსის მიღება, რომელიც გააუმჯობესებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა შრომით პირობებს და პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირთა უფლებრივ მდგომარეობას. კონკრეტულად, ბრალდებულს მიენიჭება პაემნის უფლება. ყველა სახის პაემანი, რაც მთავარია, იქნება უფასო, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისა... ამასთან, ყველას ექნება უმაღლესი განათლების მიღების უფლება, გაფართოვდება პენიტენციურ სისტემაში მომსახურე პირთა წრე, მოსამსახურეები თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს გარდა, მიიღებენ წელთა ნამსახურების დანამატს.

პრემიერმა აღნიშნული ინიციატივების წარმატებით განხორციელებისთვის სამინისტროს და პირადად მინისტრს მადლობა გადაუხადა.

რატი ბრეგაძე ყველაფერს აკეთებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, მაქსიმალურად დაცული იყოს საყოველთაოდ აღიარებული პატიმრის უფლებები. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ წინა მთავრობის მიმართულებით დროს სასამართლოვით ავადმყოფობის გამო პატიმრობის გადავადებასთან დაკავშირებულ განცხადებებს არათუ განიხილავდნენ, წარმოებამდე კი არ იღებდნენ და ადვოკატის ნებისმიერი მცდელობა მაშინ კრახით სრულდებოდა.

მეხსიერებიდან არ ამომდის ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრის ავადმყოფობისაგან ნაწამები სახე, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროებოდა კერძო კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაუდებელი მკურნალობა. სახელმწიფო ექსპერტის დასკვნაც დააგნოვინს ნამდვილობას ადასტურებდა, მაგრამ იმ უმწეო პატიმრის ჩვილი არავინ მოიხმინა. რომ არა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, იგი დიდ ხნის წინათ გარდაიცვლებოდა.

მინისტრის განცხადებით, კანონის თანახმად, იუსტიციის სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებაა, ის პასუხისმგებელია მხოლოდ აღსრულებასზე. განაჩენი და გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და პრეტენზიები იუსტიციის მინისტრის ან სამინისტროს მიმართ, სამართლებრივ ლოგიკას აცდენილია.

რატი ბრეგაძეს, როგორც იუსტიციის მინისტრს, საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებების დაცვა ევალება, რასაც იგი წარმატებით ახორციელებს, შემოაქვს ახალი საკანონმდებლო ინიციატივები იუსტიციის სახლისა და პენიტენციური სისტემის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი 2023 წლის პენიტენციური კოდექსის დანონსებაც გახლავთ.



ლევან ჭილაძე

# ბელის ანაბარად მიზოზაზულები

ერთი კვირის წინ თურქეთსა და სირიაში მომხარია მიწისძვრა გამანადგურებელი აღმოჩნდა. ორივე ქვეყანაში უკვე 30 ათასზე მეტი ადამიანი დაღუპული, ნანგრევებად იქცა ქალაქები. სამწუხაროდ, მსხვერპლის რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. გაეროში დაღუპულთა რაოდენობის გაორმაგებას პროგნოზირებენ. მომხდარი მიწისძვრის კატასტროფული შედეგებიდან გამომდინარე, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა დახმარება ოფიციალურად სთხოვა ნატოს. მართალია, თურქეთი ევროკავშირის კანდიდატია (თითქმის 30 წელი), მაგრამ ორგანიზაციისთვის ოფიციალურად არ მიუმართავს დასახმარებლად. გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის თხოვნით მიმართვა, როდესაც ნორმალური ადამიანი გულგრილად ვერ უყურებს სტიქიური უბედურების ზონიდან გაეროცვლებულ კადრებს. ნატომ და ევროკავშირმა თურქეთს აღუთქვეს, რომ რამდენიმე მილიონი დოლარით და ევროთი დაეხმარებინან, მაგრამ ეს მიზნურული თანხა იმასთან შედარებით,



ქვეყანა დაეხმარება, მაგრამ მოსახლეობის მდგომარეობა კვლავ უმძიმესი რჩება.

### ვინ გაიღებს რეალურ მოწყალებას

სტიქიური უბედურების ზონაში, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩავიდა პრეზიდენტი ერდოღანი და მოსახლეობას პირობა მისცა, რომ დანგრეულ

ლი. დაიწყო ეკვიპმენტის არქიტექტორების და მშენებელ-ინჟინერების დაკავება. დაპატიმრებულია ასზე მეტი ადამიანი. თურქეთის სოციალურ ქსელებში საუბრობენ, რომ მიწისძვრა ხელოვნურად იყო გამოწვეული. სეისმოლოგების ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, მაგრამ, ვინ იცის...

### ჯო ბაილინი: „მე კარგი ბიჭი ვარ...“

შესრულებული საქმიანობის ანგარიშით აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაილენი კონგრესისა და სენატის წინაშე მერჯულ წარსდგა. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ბაილენი რთულ პოლიტიკურ პერიოდში მოუხდა კონგრესში მისვლა. ბაილენი ჩინური ზონდის განადგურებას სამართლიანად მიიჩნევს, მომხდარში ჩინეთს ადანაშაულებს და ბოდიშის მოხდას ითხოვს. ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, საპაერო ბურთი სპეციალურად შეუშვეს აშშ-ში, რათა პროვოკაციისთვის გამოეყენებინათ და ჩინეთი თვალთვალში დაედანაშაულებინათ.

სწორედ საპაერო ბურთის შეხსენება უნდა ბაილენისთვის რესპუბლიკელ კონგრესმენს მარჯავეტ ტეილორ გრინს, რომელიც კონგრესში თეთრი ბუშით მივიდა. პრეზიდენტის დაცვამ ის დარბაზში არ შეუშვა. სამაგიეროდ, პრეზიდენტის გამოსვლისას ის ხმამაღლა აპროტესტებდა ბაილენის გამოსვლას. ჯო ბაილენმა საკუთარ წარმატებებზე ისაუბრა, რითიც ოპონენტები გააოცა. ბაილენის თქმით, ქვეყანაში 12 მლნ სამუშაო ადგილი შეიქმნა. „...ჩემს

პრეზიდენტობამდე ჩინეთის გამაღიერებაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩვენ შევძელით ეკონომიკის აღდგენა, ჩინელების შეჩერება“, — თქვა ბაილენმა გამოსვლისას. რესპუბლიკელებმა საპროტესტო შემახილებით შეაწყვეტინეს სიტყვა. ბაილენი ყვირილზე გადავიდა: „...დამისახელეთ თუნდაც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც სი ძინპინს გაუცვლის ადგილს“. რესპუბლიკელები ბაილენის მისამართით, ტრადიციულად, კრიტიკას არ იშურებენ. კონგრესმენმა მარა სანდერსმა პირდაპირ განაცხადა, რომ ბაილენის არ სჯერა. გამოცემა „უოლ სტრიტ ჟორნალმა“ მის მოხსენებას სიცრუე უწოდა. რესპუბლიკელების შეფასებით, „ბაილენმა ქვეყანა ორად გახლიჩა და ახლა სახლგარი არა მემარცხენე-მემარჯვენეებს, არამედ ნორმალურებსა და არანორმალურებს შორის გადის“.

### მაკატი — ნამდვილი ტანის ნახვალად

კვლავ აქტუალურია უკრაინისთვის შეიარაღების გადაცემა. ცალკეული ქვეყნები უკვე ერთუზიანს ალარ იჩენენ იარაღის მიწოდებაში. ისინიც კი, რომლებიც შეპირებული იყვნენ. ამასობაში საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი უკრაინის არმია დიდ დანაკარგებს განიცდის და პოზიციებს კარგავს... გასულ კვირას კიევში ჩავიდა გერმანიის თავდაცვის მინისტრი ბორის პისტორიუსი. ის ხელცარიელი არ მისულა პრეზიდენტთან — ტანკ „ლეოპარდის“ მაკეტი აჩუქა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, დააიძვრა.

### მეფე „ლარიზია“...


გასულ კვირას ზელენსკიმ ევროპის ქვეყნებში იმოგზაურა. თავდაპირველად ბრიტანეთში ჩავიდა. აეროდრომზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი დახვდა. ბრიტანელებმა სტუმარს გულთბილი შეხვედრა მოუწვეეს, მიიწვიეს პარლამენტში, სადაც სიტყვითაც გამოვიდა. მონარქმაც მიიღო არაპროტოკოლურად, ხაკისფერ მაისურსა და მარჯვლელში გამოწყობილი ზელენსკი. სუნაკთან ერთობლივ ბრიფინგზე ზელენსკი არაადეკვატურად გამოიყურებოდა, წამდაუწყვ ცხვირს იფხანდა. ერთ-ერთმა ბრიტანელმა სოციალურ ქსელში დაწერა: „კოკაინთან ძალიან დაახლოებული ვიყავი და შემძლია დარწმუნებით ვითხრათ, რომ მისი ქცევა „კოლუმბიური შაქრის“ მოხმარების ბრალია“.

### ზელენსკი ჩამოტარებით

ლონდონიდან ზელენსკი პარიზში გაემგზავრა. მის ჩასვლამდე ელისეს სასახლეში გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი მივიდა, რომელსაც მასპინძელი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი დახვდა. აღსანიშნავია, რომ შოლცის ავტომობილი რეზიდენციის კართან მივიდა, ხოლო ზელენსკის ფეხით მოუწია საკმაო მანძილის გავლამ. სამხრეთ შეხვედრაზე მხოლოდ დაპირებები იყო. შოლცმა განაცხადა, საბრძოლო თვითმფრინავების გადაცემაზე საუბარიც შედგებოდა. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლსმაც გადათქვა დანაპირები, ჩვენ უკრაინელებს მხოლოდ პილოტების გადაზიდვას შევპირდითო. პარიზიდან სამივე ქვეყნის მეთაური ბრიუსელში გაემგზავრა. ტრადიციულად, ზელენსკის ევროპაში პომპეზურად დახვდნენ, მაგრამ ევროკავშირში მიღების მისახლოებით თარიღიც კი არ დაუსახელებიათ. სამაგიეროდ, ზელენსკის ევროკავშირის დროშა აჩუქეს.

### ბაბარი შურნალისტი კვლავ ფორმალში

სკანდალური წერილი გამოაქვეყნა ამერიკელმა შურნალისტმა საიმონ ჰერშმა. მისი მტკიცებით, „ჩრდილოეთ ნაკადი-1“ და „ჩრდილოეთ ნაკადი-2“ აშშ-მ აფეთქა ნორვეგიელების დახმარებით. შურნალისტის მტკიცებით, აფეთქების ბრძანება თვით ბაილენმა გასცა ჯერ კიდევ 2021 წელს. ოპერაციის დაგეგმვას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის თანაშემწე თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში ჯეიკ სალივანი, ასევე, სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და მისი მოადგილე ვიტორია ნულანდი. მართალია, წერილი სოცქსელებში გამოქვეყნდა, მაგრამ მილიონობით მომხმარებელმა გააზიარა. აფეთქების ფაქტი მხოლოდ სახელმწიფო დეპარტამენტისა და დახვეწის პრესმდივანებმა უარყვეს, სხვა ოფიციალური თანამდებობის პირები დუმის ამჯობინებენ.



რასაც უკრაინის შეიარაღებაზე ხარჯავენ. უცნაური ფაქტია, ამერიკამ და ევროკავშირმა საერთოდაც უარი თქვეს სირიელების დახმარებაზე. უფრო მეტიც, მათთვის დაწესებული სანქციების მოხსნაზე კი არა, შერბილებაზეც კი უარი განაცხადეს. სირია გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე მეზობელი თურქეთი. თუ თურქეთს რამდენიმე ათეული ქვეყანა ეხმარება ჰუმანიტარული ტვირთითა და მასველებით, სირიელებს მხოლოდ ირანი, რუსეთი და ყატარი დაუდგა მხარში. სირიის მიმართ გულისხმიერება გამოიჩინა ისრაელმაც. ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ სირიის ჩრდილოეთ რეგიონს, მიწისძვრის ეპიცენტრს, პრეზიდენტ ბაშარ ასადის ხელისუფლება ნაწილობრივ აკონტროლებს. მიუხედავად ამისა, ასადი სტიქიით დაზარალებულ რეგიონში მაინც ჩავიდა. გაეროს მოწოდების მიუხედავად, ქვეყნებმა დროებით გადადონ პოლიტიკა და დაზარალებულ მოსახლეობას დაეხმარონ, ქვეყანა, ფაქტობრივად, ბედის ანაბარა რჩება. საგარაუდოდ, ჰუმანიტარული კრიზისის თავიდან აცილებაში ასადს ირანი, რუსეთი და კიდევ რამდენიმე

ქალაქებს მოკლე დროში, ერთ წელში ადადგენს. კონკრეტულად ვინ და რით დაეხმარება თურქეთს, ჯერ კიდევ გაურკვეველია. სამწუხაროდ, თურქეთში დაფიქსირდა მოროდორობის ფაქტები. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაც მოუხდათ. გაიძარცვა დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები, მალაზიები, თავს დაესხნენ ჰუმანიტარულ კოლონას. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ერდოღანმა ქვეყანაში სამი თვით საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. თურქეთში მაისის შუარიცხვებში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია. ექსპერტების შეფასებით, საარჩევნო კამპანიის ჩატარება შეუძლებელი იქნება. თურქეთში ოპოზიცია აკრიტიკებს ხელისუფლებას არაეფექტური მუშაობის გამო. პოლიტოლოგების შეფასებით, იწყება მწვავე პოლიტიკური ბრძოლა. ამასთან, ერდოღანის თანამდებრულ მოქმედებასაც აღიარებენ. თურქეთში ნანგრევების გაწმენდისას აღმოჩნდა, რომ მაღალსართულიანი სახლები ტექნოლოგიური დარღვევებით და უხარისხო რკინა-ბეტონით იყო აშენებუ-





# ქურნალ „კირბის“ გადასახედიდან


## დიალოგი მწერალ გური ოტობაიასთან

მწერალი გური ოტობაია ჩვენი ოჯახის მოჭირბოროტეს დაუერთგულესი მეგობარია. ვახტანგი მისი რომანების რედაქტორი და დიდი გულშემატკივარი იყო, ერთად იყვნენ საზოგადოება „სამეგრელოს“ შექმნისას, გაზეთებში „მესამე ნაპირი“, „მართალი გაზეთი“, „საერთო გაზეთი“ გვერდიგვერდ იდგნენ. ვახტანგის სწეულებისას რთულ მომენტებში ხომ წუთითაც არ მოგვცილებია და მისი უმურველი თანადგომა წაჰყვა თან ნეტარსხეულებს უღალატო მშობის იმედად და ნუგეშად.

ახლახან ჩინებული ქურნალ „კირბის“ ნომრები აჩუქა რედაქციას. დანამდვილებით შემძლია ვთქვა, რომ ქართულ სინამდვილეში მსგავსი პროექტი მონუმენტურ პერიოდიკის კუთხით არავის განუხორციელებია. ყურადღებით გავე-

ცანი წინამდებარე მერვე ნომერს, და დავრწმუნდი, რომ გური ოტობაია იდეურადაც ჩემი ვახტანგის თანამოსაერვა. ვგონებ სიმონ ჩიქოვანს აქვს ლექსი ცხრა ძმა ხერხეულიძეზე, წაიქცევა ერთი მედროზე ძმა და ვერგე დაწვდება მეორე, წაიქცევა მეორე და მესამე ძმა აიტაცებს და ასე უსასრულოდ. ამანათბენის პრინციპებზეა აგებული თურმე ჩვენი ეროვნული პუბლიცისტური ლელო.

სიმართლე გითხრათ, დიდი ხანია ქურნალისტი კალამი ხელში არ ამიღია. ადრე სხვა იყო, როცა ვახტანგის „მესამე ნაპირისა“, „მართალი გაზეთის“ თანამშრომელი ვიყავი. მერე შევიღვივებოდა გადაწონეს გაზეთი. უნებურად ჩამწერისკენ გამექცა მწერა და ჩაის მიჩოჩებულ ბატონ გურისაც ღიმილმა გადაურბინა სახეზე:



სტზე ბევრი უმუშავიათ და ამან, ამ რეალობამ.

– ქურნალში შენ „იბერიული პოეზიის ანთოლოგიის“ ნიმუშებს წარმოადგენ თითო ლექსით. ეს გასაგებია, მაგრამ რატომ „იბერიული“ და არა „ქართული“?

– ვახტანგი ესწრებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩემულის „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ პრეზენტაციას. იქ გამოითქვა რეპლიკა-სურვილი, ეს მეგრულენოვანი ლექსები დანარჩენი საქართველოსთვისაც თარგმნილიყო. პასუხი არ დავაყოვნე და მაშინვე გავუძახილე დარბაზს, რომ მეორე წელიწადი იყო, ვმუშაობდით „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ სადაც საკუთრივ ქართულის (როგორც ფოლკლორის, ისე ავტორების) გვერდით გამოქვეყნდებოდა სვანური, მეგრული და ლაზური პოეზიის ნიმუშები. გავიდა დრო და ორი წლის თავზე ამ პროექტის არეალი გაფართოვდა, რადგანაც მასში მონაწილეობა არ ისურვეს აფხაზებმა და ოსებმა. არ ისურვეს, ქართული დასახელების ქვეშ მონაწილეობა მათი პოეზია. ვიმტკიცეთ თავი და მივაგენით ტერმინს, რომელიც სასურველი აღმოჩნდა მათთვის –

„იბერიული“. ამ მიგნებამ ახალი სუბიექტები შექმალა პროექტს – შუმერული, აფხაზური, ოსური, ჩეჩნური, ინგუშური, დაღესტნური, ბასკური, ისლანდიური, ირლანდიური, მოკლედ – პოეტური პროტობიბერიული სივრცე.

– ეს დიდებულია, მაგრამ მე განსაკუთრებით ქურნალის კრედიტს თვალში: აქ მიმართულებათა მთელი კომპლექსია, რომლებიც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს კიდევ წარმატებულ სახელმწიფოს – მართლმადიდებლური აღმსარებლობა, მშვიდობა და პიროვნული თავისუფლება, ამალღებული და მშვენიერი, აგრარული ინდუსტრიალიზაცია, ეროვნული თანხმობა და სამოქალაქო ინტეგრაცია, პოლიტიკური კონსენსუსი, საუნივერსიტეტო დიპლომატია...

– არ მიკვირს შენი დაპაპონის პიროვნებისგან ასეთი ნიუანსის შემქნევა რომ გემარჯვება, ძვირფასო თამარ: ჩვენ კი ვართ მართლმართლმადიდებლები, მაგრამ დავით აღმაშენებელით ტოლერანტულები ვართ ყველა კონფესიის მიმართ, რომელიც ერთიან ღმერთს ქადაგებს და საყოველთაო სიკეთეს ემსახურება. მშვიდობის ფასი განსაკუთრებულად იცის ქართველმა: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, გვასწავლის ქართული ანდაზა, მაგრამ „თავისუფლებაში“ ნებისმიერი ქმედების შეუზღუდავს კი არ ვქადაგებთ, არამედ მარქსისტულ შეგნებულ აუცილებლობას. ამალღებული და მშვენიერი ჰეგელის სწავლებიდანაა ტრაგიკულ-კომიკურთან ერთად. რაც შეეხება ინდუსტრალიზაციას, ბატონ ნოდარ ჭითანავას დოქტრინაა. გაქვს მიწა, მასთან მიერთებული მაღალი ტექნოლოგიები?! ესე იგი, ჭეშმარიტ დროსა და სივრცეში მკვიდრობ. ეროვნული თანხმობა ითხოვს პუტჩისტური ფსიქოლოგიის გვერდზე გაწევას ლეგიტიმურის, თუნდაც სიმბოლური აღდგენის ასპექტით, ხოლო სამოქალაქო ინტეგრაცია უმთავრესი პარადიგმა ჩვენი წარმატებული სუფევისას, ვინაიდან არაქართველთა კრებსითობა, რომელიც საღვთისო ვითარებით, ალბათ, 40 პროცენტსაც კი უახ-

– ადრე შენი ქურნალის 1-7 ნომერს „კირბისი“ ვრქვა, ახლა „კირბი“ გიწოდება...

– კირბი, კირბი კრავია მეგრულში. „კირბს“ ბერძნულია და კირბების ერთობლიობას ნიშნავს. დიდი ნიკო ბერძენიშვილის შთამომავალი რას უნდა გასწავლიდე, შეგასხენებ, უბრალოდ, თავად კირბს ქართულში „ოქროს საწმისი“ შეეფარდება. ეს ის ჯადოსნური ოქროსმატყლიანის ვერძია, ჩემო თამარ, რომლითაც ფრიქსე ჩამოფრინდა ოქრომენიდან. ვერძი მსხვერპლად შესწირეს უმაღლეს ღვთაება ჰელიოსს კოლხებმა, ხორცი თავად ინებეს, ხოლო ტყავი სალოცავ მუხაზე ჩამოკიდეს, მას შემდეგ, რაც ზედ ყველა კოლხური საიდუმლო გადაიტანეს ქურუმებმა. გადის ერთი თაობა და ახლა ბერძნების ახალი ნაკადი მოადგება აიეტ მეფეს, კოლხეთს. ისინი თავიანთი ვერძის წაღებას ითხოვენ. აიეტის ჯიუტობს, რადგან ბერძნებს უკვე ოქროსმატყლიანი ტყავი კი არ უნდა გაატანოს, არამედ ქიმიის მეშვეობით ოქროს, მაგნიტის ქვიშისგან რკინის მიღების მეთოდოლოგია და სხვა რამ ათასი. ვცადეთ, მისთვის „ოქროს

საწმისი“ დაგვერქვა, მაგრამ ეს დასახელება სულმნათ ზვიად გამსახურდიას დისიდენტურ პერიოდიკისთან ასოცირდება და თავის შეკავება მომიწია. კირბი და კორიბანტები ერთი ტერმინიდანაა აღმოცენებული, როგორც შენი შშობლიური ჩოხატაურის, სიახლოვეს, იმერეთში არსებული ტოპონიმი „ოკრიბა“ – საკრავეთი.

– მშვენიერი ქურნალი გამოვიდა, ალბათ, მისი დაბეჭდვა ძვირი დაჯდა... (ვიცი რა გურის მწირი ფინანსური შესაძლებლობა).

– მთელი ტირაჟი ციფრული ბეჭდვითაა შესრულებული, შეღავათი გამიწიეს და ვგზემპლარი დაახლოებით ოც ლარამდე დაჯდა. სხვაგან 50-60 ლარიც არ ეყოფოდა, ვინაიდან რამდენიმე ათეული გვერდი ფერადია და, მოგეხსენებათ, A-4-ის ფორმატის ერთი ფერადი გვერდი ლარი ღირს ყველგან. ფინანსურად დამეხმარნენ საქართველოს მოჭირნახულე ადამიანები. ჩვენი კომერციული დირექტორია ორგზის პარლამენტარი, დიდი მამულის მფლობელი დავით ინჯია.

– ვიცნობთ ბატონ დავითს.

ტირაჟი, ტირაჟი რამდენია? (არ ვეშვები სასტამბო ნიუანსებს).

– ჯერ ორმოცდაათი. ჩასწორდა ლაფსუსები. მერე ისევ ორმოცდაათი. კვლავაც თავი წამოჰყვეს კორექტურულმა შეცდომებმა. მესამე ჯერობაზე – 200, ხოლო მეოთხეზე – 100. თითოეული ეგზემპლარი დროულად მიუვიდა საჭირო ხალხს. პრესის ჯიხურებში არც გაგვიტანია, რა ფასი უნდა დავკვეოდ, ხუთი ლარი? ათი? ვინ იყიდდა ამ ფასად?! მოკლედ, გავასაჩუქრეთ.

– წინა ნომრების დათვალიერებისას თვალში მეცა დიდებული მწერლის, ოტია იოსელიანის ნოველა „მეწინავე“. რამ განაპირობა ამ ნაწარმოების ხელმოწერა დაბეჭდვა?


– უყურე შენ, როგორი ჩასაფრებულია? ჯერ ერთი, ამ ნოველაში ჯოჯის წინამძღოლის ცდომილებაა წინ წამოწეული, რომელ საბედისწერო შეცდომას თვითვე გამოასწორებს, რათა ჯიხვების ვიშ-ჯილაგი არ მოსრას. მერედა, მისი დაბეჭდვა განაპირობა ცხონებულის შვილიშვილთან, ზვიად შვანგირაძესთან ურთიერთობამ, აღმოჩნდა, რომ წინამდებარე ტექ-



ლოვდება, სახელმწიფოებრივ აზროვნებაში მონაწილეობის გარეშე, ჩიხია, გადაულახავი ბარიერი, სიზიფეს ლოდი და აღმართები. პოლიტიკურ კონსენსუსს ვუცხადებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, ვისაც ხალხის, სახელმწიფოს წინაშე ბოროტება არ ჩაუდენია; ვისაც ემსახურება პოლიტიკური ნაბიჯები, მაგრამ წრფელად ინანიებს საერთო აღმშენებლობის სახელს; საუნივერსიტეტო დიპლომატია პროფ. ზურაბ ზონელიძეს ეკუთვნის. ეს ნიშნავს მოზარდის ადრეული ასაკიდან სახელმწიფოებრივი აზროვნებით აღზრდას ბაგა-ბაღში, სკოლაში, ზოლო უნივერსიტეტში იგი უკვე პოლიტიკურ ძალადაც მოიაზრება.

– რა მთავარ მახასიათებელს გამოპყობდით თქვენს ჟურნალში? რითი განსხვავდება იგი არსებულთაგან?

– ჩვენში რამდენიმე ჟურნალი შექმნის ღირსია უცილობლად. ასეთად, პირველ რიგში, „არილი“ მესახება. იქ ლიტერატურის, განსაკუთრებით საზღვარგარეთული მწერლობის საკითხები მაღალკვალიფიციურადაა წარმოჩენილი. სასიხარულოა ჟურნალ „ცისკარის“ ექვსი ნომრის გამოცემა. გამოდის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა „კრიტიკა“, მაგრამ მათი ზეგავლენა ფართო მკითხველზე მწირია. ჩვენ წელი-



საგანე, ეგ თავისუფლება სულ სხვა რამეა, ბედნიერო! შეხედე ჯვრის მონასტერს, სვეტიცხოველს, „მრავალჟამიერს“, „კრინმანჭულს“ და „ოდოიას“, „ხორუმს“; შეხედე ხანდაზმულების ტრადიციულ პატივისცემას, არა გოდრებით, არამედ მოწიწებული თავჯანსივით; შეხედე „ვეფხისტყაოსანს“, „მთვარის მოტაცებას“, „დათა თუთაშხიას“, „სამოსელ პირველს“; შეხედე „დაისს“, „აბე-

მოიაზრებოდა ჩვენი გონიერი წინაპრისგან, ოდესღაც გიგანტები ოქრომრავალი ჩვენი საშობლო-სავით, დროთა მსვლელობაში, რომ ნელ-ნელა გადაშენებულან, გადაგვარებულან, ბალახად ქცეულან, გაგვიძრუტებულან და აწკვლითაც ითიბებიან. აი, რა სიმალღებზე ატყორცნა ერის ზეზეურმა გვირმა ბიძინა ივანიშვილმა ჩვენი გავერანებული ეთნოფსიქოლოგია. არ მთავრდება სარბიელი ესე ამ თემშარაზე. ზვალ



წაღში ოთხი ნომრის გამოცემას ვვარაუდობთ. იმედია, ამ საშვილიშვილო საქმეს მერე და მერე უფრო მასშტაბურს გავხდით.

თამარ, ძვირფასო, ჩვენი უმთავრესი მიზანია ახალი თაობის ჭეშმარიტი ფასეულობებით დაკავალანება. სამი ათწლეულია, ე. წ. ლიბერალური ფრონტი ანტიადამიანური ინფორმაციული ომით გვიტყვის, წარიყვანა მამაპაპურ ცნობიერებაში ათასწლეულობით ნალოლიავეები ფასეულობანი. ერთი მხარეა, როცა ახალგაზრდა კაცს ეუბნები: შენ აქ გეშლება ძმისშვილო, ტატუთი რომ აყვავილდი ნეკერჩხლის მსგავსად ადრე გაზაფხულზე, დაფლეთილი ტანსაცმლით რომ ფართხუნობ და ჩლაზუნობ, თან კურტუმოების ქნევით გინდა მოიპოვო თავისუფლი სულის

სალომს და ეთერს“ და „მინდაის“, აი, სად არის თავისუფლება. აი, უმთავრესზე უმთავრესი სარბიელი ჩვენი მისიისა დეზორიენტირებული თაობების მოსაბრუნებლად ჭეშმარიტების გზისკენ.

ამისი საწყისი კი უეჭველად ბატონი ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც „სამების“ ტაძარი აჩუქა ქართველ ხალხს ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ. მშვიდობიანი ათწლეული აჩუქა ჩვენს საზოგადოებას, იმისდა მიუხედავად, მილიარდერების ლაშქარი ებრძვის შინ თუ გარეთ, თავის მრწამსზე, ეროვნულ ფსიქოლოგიაზე, პეტრესავით საღ კლდეზე დაყუდებულს. მან უხსოვრობის დროინდელი, სალოცავი ხე-გვიმრები აჩუქა საქართველოს, რომლებიც მშვენიერების სიმბოლოდ

და ზეგ უფრო ქმედითი ნაბიჯები მოსალოდნელი, როცა აკადემიკოს რამაზ გახოკიძის კონგენიალური პრეპარატი „ბიორაგით“ და გასაოცარი ხე-მცენარე ფსტათი, იგივე ბუსტუდით, საკმეველის ხით, ხემირონით ენერგიულად შევუტევეთ ჩვენი პლანეტის დამამზომელ მილიონობით ჰექტარ უდაბნოეთს; როცა ამ სიკვდილის ქვიშის ოკეანებს ოაზისებად, ბაღ-ვენახებად გადავაქცევთ ოდიოზური ცივილიზაციისთვის, ნამდვილი ნოეს ძალისხმევას მერე ვიხილავთ, ძვირფასო თამარ, უცთომელი სახელმწიფოებრივი აზროვნებით როცა გავაცნობიერებთ ყველა.

ესაუბრა  
თამარ ბერიძე-ნიშვილი-  
ხარჩილაშა

# გაგონება

## მორიგი სრუპანტალოზა სამეგრელოზე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2023 წლის 25 იანვარი, N9) დაიბეჭდა წერილი, ვინმე არამეცნიერი, ნათელმხილველი ნაზი ხანიაშვილის წიგნის თაობაზე, რომლის სახელწოდებაც „კოლხეთი ისტორიული ასურეთია და არა საქართველო“, სადაც ავტორს დაშვებული აქვს უხეში შეცდომები კოლხეთის ცივილიზაციასა და მისი წარსულის შეფასების საკითხებში.



ნ. ხანიაშვილი მერამდენედ ავლენს პირად უარყოფით დამოკიდებულებასა და უცოდინრობას სამეგრელოს პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ცოდნის მიმართ. ვერ ერკვევა ისტორიის მამების ფუნდამენტურ ნაღვალში. თავს აძლევს უფლებას, მცდარი პოზიციიდან დააყენოს კოლხეთის ბრწყინვალე წარსულის როლი და მნიშვნელობა. რბილი სიტყვებით რომ ვთქვათ, გააუფასუროს რეალობა, მონაგონით ჩაანაცვლოს არქეოლოგიური, ნუმისმატიკური, წერილობითი წყაროებით დამტკიცებული რეალობა. ვერ გარკვეულა, რომ კოლხეთი და სვანები აბორიგენი ხალხია და ცივილიზაციის სათავეებთან დგანან. თორემ არ დაუშვებდა უხეშ შეცდომას, როცა ამბობს, რომ „კავკასიის იბერია აღმოსავლეთ საქართველოა და არა სამეგრელო“.

ნ. ხანიაშვილის უვიცობამ ზუგდიდის მოსახლეობაში აღშფოთება გამოიწვია. მათ მამხილებელი წერილებით მიმართეს არაერთ ინსტანციას. თანამემამულეებს მხარს უჭერს სამეგრელოს დანარჩენი მოსახლეობაც. უვიცობაზე მეტია, როცა სიტყვა „ლორონთი“ ხანიაშვილმა ლორთან დააკავშირა. სამეგრელოში როგორც ლორს, ასევე, სხვა ცხოველებს, მშვენიერი მეგრული სახელები ჰქვიათ. რატომ უნდა შეერქვათ კოლხებს უზენაესი ღვთაებისთვის ქართლ-იბერიიდან ნასესხები სახელი?... ეს ზომ სრული სიბეცეა.

ნ. ხანიაშვილის უხეში გამოხდომები სამეგრელოს წარსულისა და კულტურული სიდიადის მიმართ ადრეც დაფიქსირდა. „გრაკლიანის“ გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერის საკითხზე მეცნიერთა შორის გამართული მსჯელობისას მან მკვეთრად უარყოფითი მოსაზრებები გამოაქვეყნა მეგრული ენისა და მხარის წარსულისადმი.

ყველას უნდა ესმოდეს, რომ სამეგრელო და სვანეთი საქართველოს ერთიანი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი იყო და მარადის ასე იქნება. მეგრელებისთვის და სვანებისთვის კულტურის, განათლების, ღვთისმსახურების სახელმწიფო ენად ყოველთვის იყო და არის ქართული. მათი ენა და ტრადიციები ერთ ფესვზე დგას. ერთად შეზრდილმა ამ სამმა ამონაყარმა საუკუნეებს გაუძლო. შეინარჩუნა ურთიერთპატივისცემა და ურღვევი თანაარსებობა. ჩვენი ქვეყნის ძლიერება დაფუძნებულია წარსულის ფასეულობებზე და ღირებულებებზე, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტკიცე საძირკველია.

აქ ბზარის შეტანა უმსგავსოებაზე მეტია. ეროვნული კონსოლიდაციის დარღვევის ყოველი მცდელობა დასაგმობი და ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

მაღლობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატონ გიორგი კეკელიძეს, რომელმაც ნ. ხანიაშვილის წიგნები წაშალა ბიბლიოთეკის საიტიდან და სპეციალურ ფონდში გადაიტანა.

ბორის დავითიანი  
სენაკის საპატო მოქალაქე,  
აკ. წერეთლისა და აღ. ყაზბეგის  
პრემიების ლაურეატი, „ღირსების ორდენის“ კავალერი

